



კორსუნისა და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი ანტონი მილანის სამრევლოებს ეწვია



2021 წლის 12 სექტემბერს მილანში გაიმართა საეკლესიო ზეიმი, რომელიც წმინდა კეთილმსახური დიდი მთავრის, ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლისთავს მიეძღვნა. ამ დღეს წმინდა ამბროსი მედიოლანელის სამრევლოში სადღესასწაულო ლიტურგია დასავლეთ ევროპის საპატრიარქო ეგზარქოსმა, კორსუნისა და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა ანტონიმ და ბელოცერკოვისა და ბოგუსლავის მიტროპოლიტმა ავგუსტინემ აღავლინეს.

იერარქებს თანამსახურებდნენ სამრევლოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი ამბროსი (მაკარი); იტალიაში მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოების ადმინისტრაციის მდივანი, მღვდელმონაზონი ამბროსი (მაცეგორა); იტალიელი სასულიერო პირები და სასულიერო ხარისხის მქონე მომლოცველები. ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ, მოლდავურ და იტალიურ ენებზე შესრულდა.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ, საპატრიარქო ეგზარქოსი მიტროპოლიტ ავგუსტინეს მიესალმა და მადლობა მოახსენა ღვთისმსახურებაში მონაწილეობისთვის. მიტროპოლიტმა ანტონიმ იერარქს უსურვა ძალის სიმტკიცე და ღვთის შენევა მსახურებაში, აღუთქვა დასავლეთ ევროპის საეგზარქოსოს სასულიერო პირებისა და სამწყსოს მოუკლებელი ლოცვითი შენევა უკრაინაში, ამ რთულ პერიოდში, ქრისტეს ეკლესიისთვის მშვიდობისა და კეთილდღეობის მისანიჭებლად.

მიტროპოლიტმა ანტონიმ ასევე მისალოცი სიტყვით მიმართა არქიმანდრიტ ამბროსის (მაკარი) და სამახსოვროდ იუველური ფსკვნილი გადასცა.

თავის სიტყვაში მიტროპოლიტმა ავგუსტინემ იტალიაში საპატრიარქო ეგზარქოსს გულწრფელი მადლობა გადაუხადა იტალიაში მინვევისათვის, უსურვა მას კურთხეული წარმატება მის სამწყემსთმთავრო საქმიანობაში. კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს ლოცვა-კურთხევით მუფემ არქიმანდრიტ ამბროსის კეთილმსახური მთავრის, იაროსლავ ბრძენის ორდენი (II ხარისხი) გადასცა.

იმავე დღეს, საპატრიარქო ეგზარქოსმა მოინახულა წმინდანთა სერგი რადონეჟელის, სერაფიმე საროველის და ბიკენტი სარაგოსელის სამრევლოები ლომბარდიის დედაქალაქში. მას შეხვდა წინამძღვარი არქიმანდრიტი დიმიტრი (ფანტინი), სასულიერო პირები და მრავალრიცხოვანი სამწყსო.

ეკლესიაში დაბრძანებული სინმინდეების თაყვანისცემის შემდეგ, საპატრიარქო ეგზარქოსი სასულიერო პირებსა და მრევლს მიესალმა, გამოხატა თავისი სიხარული შესაძლებლობის გამო, რომ კვლავ ეწვია აპენინების ერთ-ერთ უძველეს მართლმადიდებლურ სამრევლოს.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტმა ანტონიმ არქიმანდრიტ დიმიტრის მაღალი ჯილდო გადასცა – წმინდა სერაფიმე საროველის ორდენი, რომელიც მღვდელს მიენიჭა პრესვიტერად ქიროტონის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

მიტროპოლიტმა ანტონიმ აღნიშნა მამა დიმიტრის მრავალრიცხოვანი დამსახურება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე იტალიაში, უსურვა მას კეთილი ჯანმრთელობა და ღვთის შენევა სამწყემსო საქმიანობაში.

კორსუნის ეპარქიის საიტი / სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური